



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1043

2016 წლის 20 სექტემბერი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე“
წარმოდგენილი მასალების განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის N52 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე“ წარმოდგენილი მასალების განმხილველი კომისია.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ბოკერია - გამგებლის პირველი მოადგილე;

კომისიის წევრები:

- ა) იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე;
- ბ) ალექსი ჭანკოტაძე - გამგებლის მოადგილე;
- გ) ივანე მანაგაძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- დ) ნინო ბატიაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- ე) გიორგი მანგოშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი;
- ვ) თამაზი ღონრაძე - განათლების, კულტურის, მეცნიერებებისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი;
- ზ) გელა ლომიძე - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი.

მუხლი 3. კომისიამ მუშაობის პროცესში იხელმძღვანელოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის N52 დადგენილებით „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.



გამგებელი:

ვარლო ჯამშურია